პასუხი ლევან ბრეგაძის რეცენზიაზე

თომას მანი პრინკეტონის უნივერსიტეტის სტუდენტებისადმი წაკითხულ მოხსენებაში ამბობდა, რომანი ჩემთვის ✗ ყოველთვის იყო სიმფონია, კონტრაპუნქტული ნაწარმოები, თემების ხლართი, სადაც იდეები მუსიკალური მოტივების როლს ასრულებენ და მოკრძალებით ურჩევდა მსმენელებს ხელმეორედ წაეკითხათ მისი "ჯადოსნური მთა", რადგან ამჯერად რომანის სიმფონიით დამტკბარიყვნენ. თომას მანის აზრით, რომანის მუსიკალურ ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლაიტმოტივებს, რომლებმაც კერძოდ "ჯადოსნურ მთაში", თომას მანისავე სიტყვით, "იდეური და ემოციური გამჭვირვალეობა შეიძინეს, მექანიკურობისაგან განიტვირთნენ და მუსიკალურობამდე აბაყდნენ"!

მართალია, თომას მანი იქვე აცხადებს, "მცდარია აზრი, თითქოს ავტორი ყველაზე უკეთესი მცოდნე და კომენტატორი იყოს თავის საკუთარი ნაწარმოებებისა", მაგრამ აღნიშნავს, რომ ბევრი მწერალი ვერ დაიქადნის საკუთარი ნაწარმოებების თომას მანისეულ კომენტატორობას. პირადად ჩემთვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა თომას მანის მემოიარების მრავალრიცხოვან მკვლევართა აზრი, მაგრამ თვით თომას მანის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თავისი რომანების ტიპისათვის სახელის დარქმევაც კი მისი დამსახურებაა. ი. მანი წერს, რომანის დროს გაბატონებულ ფორმას შეიძლება "ინტელექტუალური რომანი" ვუწოდოთ. ინტელექტუალური რომანია "ჯადოსნური მთაც" და მისი თარგმნის სპეციფიკასაც პირველ რიგში ეს ფაქტორი განაპირობებს. თავს არ შევაწყენთ ჩემს მთარგმნელობით პრინციპებზე მსჯელობით, მხოლოდ "ჯადოსნური მთის" თარგმანზე მუშაობის სამ ძირითად მომენტზე შევაჩერებ იქვენს ყურადღებას და ამ შემთხვევაშიაც თომას მანს დავესესხები. როგორც მოგახსენეთ, თომას მანი რომანს სიმფონიას უწოდებს, სხვაგან იგი ლაპარაკობს პროზის რიტმზე და აცხადებს "პირველივეგან იყო რიტმით". თომას მანის პროზის განსაკუთრებულ რიტმულობასა და მუსიკალურო

მაზე ბევრია დაწერილი. ამ საკითხზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას რონალდ პიკოკი, ჰერმან მაიერი, მარტინ ჰაფენშტაინი და სხვები.

ამგვარად, "ჯადოსნური მთის" საერთო სტილური ხაზის გამოკვეთისას ვესწრაფოდი შემენარჩუნებინა მისი მუსიკალურობა და რიტმულობა.

მეორე, ჩემი აზრით, ასევე ძირითადი პრინციპი, თომას მანის ირონიული ინტონაციის შენარჩუნება უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თომას მანი ირონიას, რომელიც "საგნებს თავზე დაჰფარფატებს და ზემოდან დასცქერის ღიმილით"/ „die über den Dingen schwebt und auf sie herablächelt".

ტყუილად კი არ უწოდებდნენ თომას მანს დიდ ირონიულ გერმანელს. ამერიკელი მკვლევარის ერიხ ჰელერის ნაშრომს ასეც კი ჰქვია — "Thomas Mann — der ironische Deutsche"./თომას მანი — ირონიული გერმანელი/. ინგე დირზენის აზრით კი "თომას მანის იუმორი ნაკლებად პასუხობს კითხვას "რა", იგი უფრო მეტად პასუხია კითხვისა "როგორ"". თომას მანის ირონიულ სტილს მჭიდროდ უკავშირდება მწერლის მისწრაფება კრიტიკული სიზუსტისადმი. თომას მანი თითქოს ცდილობს მოგვცეს ამა თუ იმ საგნისა ან მოვლენის წვდომის არა მარტო შედეგი, არამედ გვიჩვენოს კიდეც ანალიზის მთელი პროცესი. თომას მანის მისწრაფებას პრეციზირებისაკენ განსაკუთრებით აღნიშნავს რაინჰარდ ბაუმგარტი და ასკვნის, რომ "პრეციზულ სტილს თავისთავად უკვე აქვს ირონიული გამოხატვის ღირებულება".

მესამე პრინციპი საერთოა მთელი ჩემი მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, მაგრამ ამჯერადაც თომას მანს მოვიშველიებ. თომას მანი ერთ წერილში საკმაოდ ვრცლად მსჯელობს მხატვრულ თარგმანზე. იგი ჩათვლის "ლიტერატურის საუნჯეთა სხვა ხალხის კუთვნილებად ქცევის ზღაპრულ მაგალითებს" და განაგრძობს: "ამ სიმაღლეებიდან ვეშვები ისევ ჩემამდე და შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ფრანგი ნაცნობების სიტყვით, "ჯადოსნურ მთასაც" ასეთივე ბედი ეწვევა. ეს მეც ვიგრძენი, როცა თარგმანი წავიკითხე. ეს არის ჩემი რომანის ჭეშმარიტი დაბადება სხვა ენაზე. ეს უკვე ფრანგული წიგნია, მაგრამ მაინც რაღაც გერმანულია იგი". /თომას მანის წერილიდან უნგრელი გამომცემლის ენე დიემორისადმი/.

აქედან გამომდინარე, ჩემი მიზანი იყო შემექმნა ქართული წიგნი, მაგრამ ამავე დროს მისთვის არ წამერთმია "გერმანულობა".

რა თქმა უნდა, გაცილებით იოლია პრინციპების ჩამოყალიბება, ვიდრე მათი

SOVLAB

გატარება პრაქტიკულ საქმიანობაში. გემთი ჩამოთვლილ მომენტებს გარდა "ჯადოსნურ მთაში" მთარგმნელს უამრავი პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი სიძნელე აქვს გადასალახი. ამ სიძნელეებზე ისე ვრცლად და მაღალ პროფესიულ დონეზე იღაპარაკა ჩემმა ოპონენტმა, რომ მათ ანალიზს მე ალარ შევუდგები. სანამ შენიშვნებზე გავცემდე პასუხს, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ახალგაზრდა მკვლევარის ლევან ბრეგაძის ღვაწლი გერმანული ლიტერატურის ქართული თარგმანების შეფასებაში. დღეს აქ მოსმენილი რეცენზია არის იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა მივუდგეთ მხატვრულ თარგმანს. ეს რეცენზია იმასაც გვიჩვენებს, რომ თარგმანზე წერა არც ისეთი იოლი საქმეა, როგორც ბევრს წარმოუდგენია. გარდა ამისა ამ რეცენზიით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ რეცენზენტმა თვით მთარგმნელზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ უნდა იცოდეს სათარგმნელ ენებზე.

უმადურობა და უსაფუძვლო სიხუცე იქნებოდა მადლობით არ მიგვეღო ლ.ბრეგაძის შენიშვნების დიდი ნაწილი. მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის ირგვლივ შევეცდებით განმარტების მოცემას. უპირველ მარტებულია შენიშვნა, რომ "das Bleiben" კონტექსტში "eines wechselnden Bleibens" "ყოფას" ან თუნდაც "ყოფნას" არ ნიშნავს, მაგრამ, მე მგონი, არც ლ.ბრეგაძის მიერ შემოთავაზებული "იგივეობა" უნდა იყოს გუსტი. "das Bleiben"-ის სხვადასხვა მნიშვნელობებიდან /ყოფნა/საბმე დარჩენის აგრით/, ხანგრძლივი, მყარი, მუდმივი, მარადიული რამ/ ჩემი აგრით, უფრო მართებული იქნებოდა ამოგვერჩია ცნება "მარადიული", რაც უკვე წარმოაჩენდა შესიტყვების შემადგენელი კომპონენტების კონტრასტულობას. მაგალითად ასე - "ცვალებადი მარადიულობა", რაც შეეხება ფრაგის მომდევნო ნაწილს: "das Wiederkehr und schwindelige Einerleiheit war", ", აქ უფრო გუსტია ლ.ბრეგაძის ნომინატივური ვარიანტი: "რაც დაბრუნება და თავბრუდამხვევი ერთფეროვნება იყო", მაგრამ ფრაგას მოქნილობა აკლია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქ ანტონიმური წყვილი არა გვაქვს, მაშინ ჩემი ვერბალური ვარიანტი არც ისე დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მე მაქვს: "რომელიც კვლავ და კვლავ უკან ბრუნებითა და თავბრუდამხვევად ერთფეროვანი რჩებოდა".

SOVLAB

ლ.ბრეგაძის შენიშვნის წყალობით, მე მგონი, უკეთესი შესატყვისი მოვუძებნე სიტყვას "die Briefschaft". რეცენზენტის მიერ შემოთავაზებულ "კორესპონდენციას" ხომ არ აჯობებდა აქ "უსტარი"? მით უმეტეს, რომ "კორესპონდენციას" სხვაგან ისედაც ხმარობს სეტემბრინი.

რაც შეეხება ფრაუ შტერისა და სიტყვის "stöhnisch" ალიტერაციულ მსგავსებას, ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ არ შეიძლებოდა მაშინვე არ მოხვედროდა ყურში, მაგრამ რამდენადაც ქართულად ფელეტონურ ალიტერაციად მეჩვენა "ფრაუ შტერის შტერული სახე". კიდევ არა უშავს, როცა ამ სიტყვებს შორის სხვა სიტყვა ჩადგება. ჯერჯერობით ექსპერიმენტის სახით ტექსტში მხოლოდ ერთგან მაქვს შენარჩუნებული ეს ალიტერაცია. მე მგონი, ამ დეტალს კიდევ სჭირდება აწონ-დაწონა. ამჯერად კი ვღებულობ შენიშვნას, რომ ეს შესიტყვება სხვადასხვანაირად მაინც არ უნდა მეთარგმნა.

მადამ შოშა და პშიბისლავი რომ ლაიტმოტივურად ერთმანეთთან დაკავშირებული პერსონაჟები არიან, ეს გარემოება ერთი და ორი ლაიტმოტივით არ არის ნაწარმოებში გამაგრებული. აქ არის სწორედ, როდესაც პიკოკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ვაგნერისეული "Erinnerungsmotiv" - გახსენების მოტივი. რაც შეეხება "verschleierte Stimme"-ს, რომლის ორი ვარიანტის არსებობა სამართლიანად მისაყვედურა რეცენზენტმა, შემიძლია თავი მხოლოდ საუკეთესო ვარიანტის ძიებით გავიმართლო. საერთოდ, თარგმანზე მუშაობისას ცალკე რვეულში საგანგებოდ ვინიშნავ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც მთელ ტექსტში მეორდებიან. დასახელებული ლაიტმოტივების გარდა ასეთებია: „der schlechte Russentisch“, „hübsche Marusia“ და სხვ. ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია "მდარე რუსული მაგიდა" ჩავწერო ტექსტში თუ "ცუდი რუსული მაგიდა", "ლამაზი მარუსია" იყოს, "მშვენიერი მარუსია" თუ "ტურფა მარუსია". რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ მაგალითს, აქ უსათუოდ გამომადგება ლ.ბრეგაძის რჩევა, რისთვისაც ერთხელ კიდევ მოვახსენებ მადლობას.

X X X

დასასრულ, ერთხელ კიდევ მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ლიტერატურის სექ-

ჭოსა და გოეთეს საზოგადოების თბილისის ფილიალის ხელმძღვანელობას ასეთი სასრგებლო ღონისძიების ჩატარებისათვის. გამოუქვეყნებელი მარგმანების ასე მაღალკვალიფიციურ დონეზე განხილვა უეჭველად შეუწყობს ხელს ჩვენში მთარგმნელობითი საქმიანობის წინსვლას.

/ დ.ფანჯიკიძე /

26.V.1976.

SOVLAB